ბრძანება:**ბ41. 4124088001**

თარიღი:**28/03/2024**

ვიდეო სათვალთვალო სისტემის საშუალებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.დამტკიცდეს ვიდეო სათვალთვალო სისტემის საშუალებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი თანდართული დანართის შესაბამისად.

2. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურის ერთეულის ხელმძღვანელს-საკრებულოს აპარტის უფროსს ლევან თულაძეს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

ვიდეო სათვალთვალო სისტემის საშუალებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი

მუხლი 1.

ეს წესი განსაზღვრავს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში - საკრებულო) მიერ ვიდეო სათვალთვალო სისტემის გამოყენების მიზნებს, ფარგლებს, მონაცემთა შენახვის ვადებს და მათზე წვდომის საკითხებს.

მუხლი 2.

საკრებულოს საკუთარი შენობის შოთა რუსთაველის ქუჩა №243 ვიდეოთვალთვალს ახორციელებს მხოლოდ პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნებისთვის. კერძოდ:

ა) შენობის სამხრეთით შოთა რუსთაველის ქუჩის მხარეს შენობის გარე პერიმეტრზე განთავსებული 3 ვიდეოკამერის საშუალებით განხორციელებული ვიდეოთვალთვალის მიზანია საკრებულოს საკუთრების დაცვა;

გ) შენობის აღმოსავლეთით დავით ვაჰანიას ქუჩის მხარეს შენობის გარე პერიმეტრზე განთავსებული 2 ვიდეოკამერის საშუალებით განხორციელებული ვიდეოთვალთვალის მიზანია საკრებულოს საკუთრების დაცვა;

გ) შენობის ჩრდილოეთით საკრებულოს შენობის გარე პერიმეტრზე განთავსებული 1 ვიდეოკამერის საშუალებით განხორციელებული ვიდეოთვალთვალის მიზანია საკრებულოს საკუთრების დაცვა;

დ) შენობის შიდა ფართში მისაღებსა და დერეფანში განთავსებული 9 ვიდეოკამერის საშუალებით განხორციელებული ვიდეოთვალთვალის მიზანია საკრებულოს თანამშრომელთა და სხვა ფიზიკურ პირთა უსაფრთხოების დაცვა;

მუხლი 3.

1. დაუშვებელია ვიდეო სათვალთვალო სისტემის გამოყენებით აუდიოჩაწერა.

2. დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის გამოყენება გამოსაცვლელ ოთახებში და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში.

3. დაუშვებელია ვიდეო სათვალთვალო სისტემის გამოყენება სხვა მიზნებისთვის, გარდა ამ წესის მე-2 მუხლში მითითებული მიზნებისა, მათ შორის, დაუშვებელია სისტემის გამოყენება თანამშრომელთა მონიტორინგის და/ან მათ მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების მიზნით.

მუხლი 4.

1. ვიდეოთვალთვალის თაობაზე შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი (დანართი №1) განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას - თითოეული კამერის ხედვის არეალში მოხვედრამდე.

2. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალისა და საკუთარი უფლებების შესახებ საკრებულოში დასაქმებული თითოეული პირი წერილობით არის ინფორმირებული (დანართი №2).

მუხლი 5.

1. ვიდეოთვალთვალის სისტემა მუშაობს როგორც რეალურ დროში გადაცემის, ისე ჩაწერის რეჟიმში.

2. შოთა რუსთაველის ქუჩა №243-ში შენობებში განთავსებული ვიდეო სათვალთვალო სისტემის (როგორც მიმდინარე, ისე ჩაწერილ) მონაცემებზე წვდომა აქვს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს, სენაკის დაცვის პოლიციის განყოფილების, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაცვის პოლიციელს.

3. ვიდეოთვალთვალის სისტემაში ჩანაწერები ინახება შოთა რუსთაველის №243-ში, დაცვის თანამშრომლებისთვის გამოყოფილ ოთახში და შოთა რუსთაველის №243-ში, საამისოდ გამოყოფილ ადგილზე განთავსებულ ორ სერვერზე 10 დღის ვადით, რომლის გასვლის შემდეგაც ჩანაწერები ავტომატურად იშლება.

4. სერვერზე შენახულ ჩანაწერებზე წვდომა აქვს მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს, სენაკის დაცვის პოლიციის განყოფილების, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაცვის პოლიციელს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით.

5. ჩანაწერების მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება (დათვალიერება, გადმოწერა, წაშლა და ა.შ.) აღირიცხება (ლოგირდება).

მუხლი 6.

1. ვიდეო სათვალთვალო სისტემის ჩანაწერების დათვალიერება და/ან მესამე პირებზე გადაცემა დასაშვებია მხოლოდ:

ა) შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს, სენაკის დაცვის პოლიციის განყოფილების, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაცვის პოლიციელის მიერ მხოლოდ პირის უსაფრთხოების დარღვევისა და საკუთრების შესაძლო ხელყოფის შემთხვევაში,საკრებულოს თავმჯდომარის დასაბუთებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელშიც მითითებულია ჩანაწერის დათვალიერების მიზანი, საფუძველი და აუცილებლობა;

ბ) სამართალდამცავი ორგანოებისათვის მხოლოდ მოსამართლის განჩინებისა ან პროკურორის (დადგენილების) საფუძველზე;

გ) საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

2. ვიდეო სათვალთვალო სისტემის ჩანაწერების დათვალიერების და/ან მესამე პირებზე გადაცემის ყველა შემთხვევა აღირიცხება დათვალიერების/გადაცემის ზუსტი დროის, შესაბამისი პირებისა და დათვალიერების/გადაცემის საფუძვლის მითითებით.

მუხლი 7.

1. ნებისმიერ პირს, რომელიც ხვდება ან შეიძლება მოხვდეს ვიდეო სათვალთვალო სისტემის ხედვის არეში უფლება აქვს:

ა) მიიღოს ინფორმაცია ვიდეოთვალთვალის გზით მონაცემთა დამმუშავებლის, ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;

ბ) მიიღოს მისი ვიდეოჩანაწერის ასლი;

გ) მოითხოვოს ვიდეოჩანაწერის წაშლა, დაბლოკვა, გასწორება;

დ) მიიღოს ინფორმაცია ვიდეოჩანაწერის მესამე პირებისთვის გადაცემის შესახებ, თუ არ არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის კანონიერი მიზანი და საფუძველი;

ე) ისარგებლოს მონაცემთა სუბიექტისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებით.

2. ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს მონაცემთა დაცვის ოფიცერი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით.

მუხლი 8.

ამ წესის დარღვევა წარმოადგენს საკრებულოს შინაგანაწესის დარღვევას და ითვალისწინებს შესაბამის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

დანართი №1

ვიდეოთვალთვალის თაობაზე გამაფრთხილებელი ნიშნის სტანდარტული ფორმა

დანართი №2

ინფორმირება სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის განხორციელების თაობაზე

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი მე-3 და მე-5 პუნქტების შესაბამისად გაცნობებთ, რომ ფიზიკურ პირთა უსაფრთხოებისა და საკრებულოს საკუთრების დაცვის მიზნით თქვენს სამუშაო ადგილზე, კერძოდ,

_____

(იმ თანამშრომლის ვინაობა, ვისი სამუშაო სივრცეც ხვდება ვიდეოთვალთვალის არელაში)

24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი. ჩანაწერები ინახება არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადით.

თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ იმ ვიდეოჩანაწერის ასლი, რომელიც შეიცავს თქვენს მონაცემებს, ინფორმაცია თუ ვის ჰქონდა წვდომა და/ან გადაეცა თქვენი მონაცემები (ვიდეოჩანაწერი), ინფორმაცია მონაცემთა დამმუშავებლის, დამუშავების მიზნებისა და საფუძვლების შესახებ და, ასევე, ისარგებლოთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებებით.

თქვენი უფლებების რეალიზებისათვის და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ მიმართოთ მონაცემთა დაცვის ოფიცერს _____

ასევე, თქვენი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად შეგიძლიათ მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს (www.pdp.ge, (+995 32) 242 1000, office@pdps.ge) და/ან სასამართლოს.

პოზიცია _____

სახელი, გვარი _____ _____

ხელმოწერა _____

თარიღი ____ _____ 202__ წ.